

სავალუტო გარიგებით მომსახურების წესები და პირობები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სავალუტო გარიგებით მომსახურების წესებს და პირობებს, რომელიც დეტალურად აღწერს კლიენტსა და სს ზირაათ ბანკი საქართველოს შორის სავალუტო გარიგებასთან და ვაჭრობასთან დაკავშირებულ ძირითად ასპექტებს.

ბანკი მოქმედებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 21 ივლისის ბრძანებების N142/04 “სავალუტო ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, ასევე FX გლობალური კოდექსით (FX კოდი) მიხედვით, რომელიც აღგენს სავალუტო ბაზარზე მისაღები ქცევის სტანდარტებს.

მომსახურების პირობები

კლიენტთან კონკრეტული გარიგების დადებისას თუ ბანკი სხვაგვარად არ განაცხადებს, იგი წინამდებარე პირობების ფარგლებში მომსახურების გაწევისას სავალუტო ბაზარზე მონაწილეობს როგორც პრინციპალი მოვაჭრე, ანუ კლიენტთან სავალუტო გარიგებას დებს საკუთარი სახელით და საკუთარი რისკით.

გარიგების დადების დროს, ბაზრის მონაწილე არ მოქმედებს როგორც კლიენტის ფიდუციარი ან მრჩეველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი სახის ურთიერთობა წინასწარ არის შეთანხმებული წერილობით. ნებისმიერი დადებული გარიგება ხორციელდება იმ დაშვებით, რომ კლიენტს შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად და მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი ცოდნის, გამოცდილების და მესამე მხარეთა პროფესიონალური რჩევების საფუძველზე.

კლიენტისათვის ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაცია სავალუტო ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ ატარებს ინფორმაციულ ხასიათს და არ შეიძლება განიხილოს როგორც ფინანსური რჩევა. სავალუტო გარიგების განხორციელებასთან / დადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კლიენტი და შესაბამისად შედეგებზეც თვითონ არის პასუხისმგებელი. ყოველი დადებული გარიგება მოიაზრებს რომ კლიენტს შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად და მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი ცოდნის და გამოცდილების საფუძველზე. ბანკი არ აგებს პასუხს კლიენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე და ასევე არ არის პასუხისმგებელი იმ ზარალზე, რომელიც შეიძლება კლიენტს მიადგეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად.

ბანკი კლიენტის დავალებას საბანკო დღის ბოლომდე განიხილავს და დაკმაყოფილების შემთხვევაში ადასტურებს კლიენტთან ამ პირობებით შეთანხმებული კომუნიკაციის საშუალებით, რაც განიხილება აღნიშნული პირობებით ბანკსა და კლიენტს შორის სავალუტო

გარიგების დადებად. ბანკი ასევე უფლებამოსილია შესთავაზოს კლიენტს მის მიერ განაცხადით წარმოდგენილი პირობებისგან განსხვავებული პირობებით გარიგების დადება/კორექტირება. თუ კლიენტი ამ პირობებით დადგენილი წესით ადასტურებს შეთავაზებას, განაცხადი ბანკის მიერ დადასტურდება და დადებულად ჩაითვლება შეცვლილი / შეთანხმებული პირობებით.

კლიენტის გარიგების დაუდასტურებლობის (მათ შორის თანხმობის/უარის განუცხადებლობის) შემთხვევაში გარიგება არ ჩაითვლება დადებულად.

წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მომსახურების შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მიღების და მომსახურების მიღების მიზნით კლიენტი ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე პირობებს და სრულად წარადგინოს განაცხადები ბანკში ამ პირობებით დადგენილი წესით.

პირობები არ გულისხმობს რომელიმე სავალუტო გარიგების დადებაზე ბანკის თანხმობას. ამგვარი გარიგების დადების საკითხს ბანკი განიხილავს და წყვეტს ამ პირობების და კლიენტთან გაფორმებული შეთანხმებებით განსაზღვრული წესით.

კლიენტი უფლებამოსილია ბანკთან სავალუტო გარიგება დადოს როგორც კონტრაქტმა და მოითხოვოს სპოტ გარიგების კურსი, შეათანხმოს სასურველი პირობები, რომლის შემთხვევაშიც ბანკი მოქმედებს როგორც პრინციპალი მოვაჭრე.

სპოტ გარიგების კურსისა და გარიგების სხვა პირობების შესათანხმებლად კლიენტმა უნდა დააკონკრეტოს გარიგების სავალუტო წყვილი და შესაძენი/გასაყიდი ვალუტის მოცულობა.

სავალუტო ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე კურსი, რომელსაც ბანკი, როგორც პრინციპალი მოვაჭრე შესთავაზებს კლიენტს, შეიძლება სწრაფად შეიცვალოს. ამიტომ შეთანხმებული კურსი მოქმედი იქნება მხოლოდ დაუყოვნებლივი აღსრულებისათვის და ბანკი ვერ იქნება პასუხისმგებელი რომ აღნიშნული კურსი კლიენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება მომავალშიც. ბანკის მიერ შეთავაზებული კურსის მისაღებობის შემთხვევაში კლიენტმა თანხმობა უნდა გამოხატოს დაუყოვნებლივ, რაც ჩაითვლება კონვერტაციის პირობებზე შეთანხმებად. გარიგების აღსრულება კლიენტმა უნდა უზრუნველყოს შეთანხმების მომენტიდან არაუგვიანეს სამუშაო დღის დასრულებამდე (17:30 საათამდე).

კლიენტისთვის ინფორმაციის გაზიარებისა და კომუნიკაციის წესი

ბანკსა და კლიენტს შორის კომუნიკაცია ხორციელდება როგორც წერილობით, ელექტრონული ფორმით (ბანკისთვის ცნობილ ელექტრონულ მისამართზე ან კლიენტის ინტერნეტ ბაკის საშუალებით შეტყობინების გავაზიარების გზით), მოკლე ტექსტური შეტყობინების, სატელეფონო საშუალებით (კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებულ სატელეფონო ნომერზე ან/და ბანკის მიერ მოძიებული ალტერნატიული სატელეფონო ნომრის გამოყენებით შეტყობინების გადაცემისას) ან ბანკის მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით. ბანკს შეუძლია კლიენტს გააცნოს ბაზრის ზოგადი ტენდენციები, სავალუტო ბაზარზე არსებული ზოგადი ინფორმაცია კონფიდენციალურობის დაცვით, რაც არ იძლევა კონკრეტული სუბიექტის ან კონკრეტული გარიგების იდენტიფიცირების საშუალებას, თუმცა ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაცია სავალუტო ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ ატარებს ინფორმაციულ ხასიათს და არ შეიძლება განიხილოს როგორც ფინანსური რჩევა. სავალუტო გარიგების განხორციელებასთან / დადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კლიენტი და შესაბამისად შედეგებზეც თვითონ არის პასუხისმგებელი. ბანკი არ ზღუდავს კლიენტს სავალუტო გარიგების დადების და/ან მომსახურების მიღების მიზნით მიმართოს ბაზრის სხვა მონაწილეს არც გარიგების დადების მომენტში და არც მის შემდეგ.

ბაზრის მონაწილე კლიენტთან კომუნიკაციას აწარმოებს ზუსტად, ნათლად და გარკვევით, რათა განზრახ შეცდომაში არ შეიყვანოს კლიენტი. ამ მიზნით, ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია კლიენტს მიაწოდოს გონივრული ინფორმაცია სავალუტო ბაზრის შესახებ, ბაზრის ზოგადი ტენდენციების, წინასწარი კვლევებისა და ძირითადი ასპექტების გათვალისწინებით.

ბაზრის მონაწილე კლიენტთან კომუნიკაციისას ვალდებულია მას მიაწოდოს ინფორმაცია წინარე ჰეჯირებისა და მასთან ასოცირებული რისკების შესახებ, ასევე იმ მატერიალური სარგებლის შესახებ, რომელიც შესაძლებელია კლიენტმა ამ ქმედებით მიიღოს. წინარე ჰეჯირებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს იმ ფასზე, რომელიც ბაზრის მონაწილეს შეუძლია რომ შესთავაზოს კლიენტს ტრანზაქციისთვის დავალების შესასრულებლად არსებულ ლიკვიდობის გათვალისწინებით, რამაც შეიძლება ბაზრის მონაწილეს ან დამატებითი შემოსავალი მოუტანოს ან აზარალოს.

ბანკი აცხადებს, რომ აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში კლიენტთან მომსახურების გაწევისას მას გააჩნია ინფორმაციის დაცვის შესაბამისი მექანიზმები, რომელიც იცავს კლიენტს კონფიდენციალურ ინფორმაციას ნებისმიერი უნებართვო წვდომისაგან, რომელიც მესამე პირების, ასევე ნებისმიერი სხვა არაუფლებამოსილი პირისაგან.

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ ბანკთან კომუნიკაცია, მათ შორის დავალების/განცხადების წარდგენის, ცვლილების ან გაუქმების მოთხოვნა ხდება სატელეფონო საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, ბანკი უფლებამოსილია და კლიენტი უპირობო თანხმობას აცხადებს რომ ბანკმა კანონმდებლობით გათვალისწინებული

მიზნით განახორციელოს სავალუტო გარიგებებთან დაკავშირებული ნებისმიერი კომუნიკაციის ჩაწერა და შენახვა. კლიენტი ვალდებულია ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის ცვლილების შესახებ წინასწარ შეატყობინოს ბანკს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად კლიენტის მხრიდან.

ფასდადების პოლიტიკა

ბანკი ადასტურებს რომ ფასდადება არის სამართლიანი და გონივრული, შეესაბამება გასაწევი მომსახურების ეკონომიკურ ხარჯებსა და სავალუტო ბაზრის მონაწილის მიერ აღებულ რისკებს. ბანკი, როგორც პრინციპალი მოვაჭრე, უფლებამოსილია ფასდადებისას გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, რომელიც მოიცავს გარიგების ზომას და/ან სირთულეს, ლიკვიდობას, საკრედიტო ხარჯებს, ბალანსის უწყისს, კაპიტალს, რისკის ლიმიტს, ვაჭრობის საპროცესო ცარჯებს, გაყიდვების მცდელობებს, შესაბამისად ბაზრის მონაწილემ შეიძლება შესთავაზოს კლიენტს განსხვავებული ფასები იმავე ან მსგავსი გარიგების დროს.

სავალუტო ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე კურსი, რომელსაც ბანკი, როგორც პრინციპალი მოვაჭრე, შესთავაზებს კლიენტს, შეიძლება სწრაფად შეიცვალოს. აქედან გამომდინარე, შეთანხმებული კურსი მოქმედი იქნება მხოლოდ დაუყოვნებლივი აღსრულებისთვის და ბანკი ვერ იქნება პასუხისმგებელი, რომ აღნიშნული კურსი კლიენტისთვის იქნება ხელმისაწვდომი მომავალშიც. ბანკის მიერ შეთავაზებული კურსის მისაღებობის შემთხვევაში კლიენტმა თანხმობა უნდა გამოხატოს დაუყოვნებლივ, რაც ჩაითვლება კონვერტაციის პირობებზე შეთანხმებად. გარიგების აღსრულება კლიენტმა უნდა უზრუნველყოს შეთანხმების მომენტიდან სამუშაო დღის დასრულებამდე.

ბანკსა და კლიენტს შორის ფინანსური ურთიერთობა წესრიგდება ბაზრის მონაწილის მიერ წინასწარ შეთავაზებული ტარიფებითა და კლიენტთან დადებული ორმხრივი შეთანხმების მიხედვით.

ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები მომსახურების ტარიფებში, ხოლო აღნიშნულის შესახებ ბანკი კლიენტის ინფორმირებას ახდენს წინასწარ.

ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს კლიენტის მოთხოვნის მიღებასა და შესრულებაზე, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

სავალუტო გარიგების აღსრულება

ბანკი კლიენტთან დავალების დადებისას მოქმედებს სამართლიანად და გამჭვირვალედ, რაც მათ შორის მოიცავს სავალუტო გარიგების დადების დროულ/სწრაფ უზრუნველყოფას,

დადასტურებასა და ანგარიშსწორებას, კლიენტის კონკრეტული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებითა და წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

მხარეებს შორის ანგარიშსწორება ხორციელდება დადებული გარიგების პირობების შესაბამისად გარიგებაში მითითებულ ანგარიშსწორების დღეს.

სხვა პირობები

ბანკი იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს შეცვალოს წინამდებარე დოკუმენტის პირობები, რათა მოხდეს საბაზრო პირობებსა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში განხორციელებული ცვლილებების ასახვა. აღნიშნული ცვლილების შესახებ კლიენტს ინფორმირება მოხდება მათ შორის გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებული საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

წინამდებარე დოკუმენტიდან გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს მხარეთაშორის მოლაპარაკების გზით.

შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში წინამდებარე შეთანხმებასთან წარმოშობილი ნებისმიერი დავა, მათ შორის შეთანხმების პირობების შეუსრულებლობასთან, მოშლასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან და სხვა, საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცეს საარბიტრაჟო დაწესებულებას შპს „დავების განმხილველ ცენტრს“, რომელიც დავას განიხილავს მისი საარბიტრაჟო წარმოების წესების შესაბამისად (ს/კ- 204547348; იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, მე-4 ბლოკი, მე-2 სართული, ოფისი 11. ვებ-გვერდი: www.drc.ge)

წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი პირობების დარღვევის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში კლიენტი უფლებამოსილია მიმართოს ბაზრის მონაწილის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ბანკის სერვის ცენტრებში წერილობითი განაცხადის დაფიქსირებით ან სატელეფონო ნომრის მეშვეობით: +995 322 943 704; +995 322 943 714, ან მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ცხელ ხაზზე - +995 322 406 406.